ნანა ფირცხელანი

ადამ მიცკევიჩის უნივერსიტეტი (პოლონეთი)

2024 წლის 22-26 აპრილს, Erasmus+ ადმინისტრაციული მობილობის ფარგლებში, პატივი მქონდა წამეკითხა სალექციო კურსი ენერგოუსაფრთხოებისა საკითხებზე ადამ მიცკევიჩის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში (პოზნანი, პოლონეთი). მოცემული უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერებისა და ჟურნალისტიკის ფაკულტეტის მხარდაჭერით ორგანიზებული ვიზიტის განმავლობაში, შეხვედრები გაიმართა როგორც პოლონელ ასევე საერთაშორისო მობილობის ფარგლებში პოლონეთში მყოფ უცხოელ სტუდენტებთან. სალექციო კურსის განმავლობაში, გარდა ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხებისა, ასევე ვისაუბრეთ პოლონეთსა და საქართველოს შორის არსებულ სტრატეგიული პარტნიორობის პერსპექტივებზე და თანამედროვე პოლიტიკურ და ეკონომიკურ გამოწვევებზე.

საინტერესო შთაბეჭდილებებით სავსე აღმოჩნდა შეხვედრა მასპინძელ - დოქტორ ჯოანა სკშიპჩინსკასთან, რომელიც საჯარო მმართველობის კვლევების დეპარტამენტის ხელმძღვანელს წარმოადგენს და რომლის აქტიური ჩართულობით ძალზე საინტერესო და მრავალფეროვანი დისკუსია გაიმართა სტუდენტებთან. ვიზიტის განმავლობაში შესაძლებლობა მომეცა ახლოდან გავცნობოდი საუნივერსიტეტო ცხოვრებას საუკეთესო პრაქტიკისა და გამოცდილების შემდგომი ტრანსფორმაციის მიზნით.

ვიზიტის ფარგლებში განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო შეხვედრა ფაკულტეტის დეკანთან პროფესორ ანდრჟეი სტელმაჰთან და მის კოლეგებთან - მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტების ხელმძღვანელებთან პროფესორ მაჩეი ვალკოვსკისთან და დოქტორ სიმონ ოსოვსკისთან, როგორც საქართველოს დიდ გულშემატკივრებთან. მასპინძელმა მხარემ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი საქართველოსათვის ევროპული ღირებულებების გაზიარებისა და შემდგომი ინტეგრაციის მნიშვნელობას. აღსანიშნავია, რომ ფაკულტეტის დეკანი ამა წლის ივნისში გეგმავს საქართველოში ოფიციალურ ვიზიტს და იმედი გამოთქვა კავკასიის უნივერსიტეტთან სამომავლო თანამშრომლობის გაღრმავებაზე.